სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ -პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2024 წლის 28 ივნისის №170/01-01 ბრძანებების უზრუნველყოფისთვის, თსუ რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 17 ივნისის N17/04 ერთობლივი ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სალომე დუნდუას 2024 წლის 5 ივნისის N 14735/30 წერილის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის #79/2024 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი
(დაკორექტირებული)

ქ. თბილისი 3 სექტემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფესორი ლაშა მათიაშვილი (კომისიის მდივანი), ასოც. პროფესორი თეონა მატარარაძე, ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე, ასოც. პროფესორი ნინო შატბერაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია.

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება (გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრება, ლექცია და კენჭისყრა) შედეგები.

სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 1 კანდიდატი - შორენა თურქიაშვილი. გამოცხადებულ კონკურსში კანდიდატს წესრიგში ჰქონდა საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

გასაუბრებაზე შორენა თურქიაშვილმა ჩაატარა ლექცია კომისიის წევრების მიერ შერჩეულ თემაზე („დამნაშავის პიროვნება და მისი სოციალიზაციის პრობლემა“) და უპასუხა დასმულ შეკითხვებს. დანაშაულისა და დევიაციის პრობლემები სოციოლოგიას მისი დაარსების დღიდან მოსდევს და მათ შესახებ ბევრი თეორია და მიდგომა შეიქმნა. არსებობს როგორც კლასიკური თეორიები (დიურკემი, მერტონი და სხვ.), ისე თანამედროვე ინტერპრეტაციები. აღსანიშნავია, რომ შორენა თურქიაშვილმა გამოავლინა დანაშაულის პრობლემის ირგვლის თანამედროვე დებატებისა და კვლევების კვალიფიციური ცოდნა. ეს მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქ-ნი შორენა უძღვება დანაშაულის სოციოლოგიის სპეცკურსს სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შორენა ტურქიქშვილის მიერ 2023 წელს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (Environment and Society) გამოქვეყნებული სტატია („Challenges of Officials' Crime in the Georgian civil service system“) სწორედ დანაშაულის თემის თანამედროვე ინტერპრეტაციების გათვალისწინებით არის დაწერილი.

საკონკურსო კომისიამ დეტალურად შეისწავლა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია. კომისიამ შორენა თურქიაშვილის პუბლიკაციები, აკადემიური პროფილი და სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება შეაფასა და შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:
შორენა თურქიაშვილი - მომხრე - 7, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს: სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა შორენა თურქიაშვილი.

შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე)

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოც. პროფესორი ნინო შატბერაშვილი
(კომისიის წევრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი ლაშა მათიაშვილი
(კომისიის მდივანი)

ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე
(კომისიის წევრი)